jober.ge

https://www.jober.ge

https://jober.ge/ka/განცხადებები/-GEO410635

2020-03-04

ვაკანსიის აღწერა

ვებ-დიზაინერი

GEO410635

კომპანია : სტუდია - ნეტიკო ვებ გვერდების შექმნა და პრომოუშენი (netiko - studio)

თბილისი

განათლება : პროფესიული ტექნიკუმი
გამოცდილება : 3 წლიდან - 5 წლამდე
სექტორები : კომპიუტერი/საინფორმაციო ტექნოლოგიები

ენები

ინგლისური : მაღალი

ქართული : მაღალი

ხელფასი : 4 000₾

ვაკანსიის მდებარეობა



ვაკანსიის დეტალები

სამუშაოს მოკლე აღწერა:

ვეძებთ ნიჭიერ ვებ დიზაინერს, რომელიც ჩვენთან ერთად შექმნის შთამბეჭდავ და მაღალხარისხიან პროდუქტებს საერთაშორისო ბაზრის მომხმარებლებისათვის. მას, ვისაც ჩვენ ვეძებთ, უნდა ჰქონდეს ცხადი წარმოდგენა დიზაინსა და გრაფიკულ ხელოვნებაზე და, რაც მთავარია, შეეძლოს სამომხმარებლო ინტერფეისის მაღალი დონის დიზაინის შემუშავება, რისთვისაც კონკრეტული, მაღალი დონის მოთხოვნების მიხედვით ღირებული, ინტუიტიური და ფუქციონალური დიზაინის შექმნა მოუწევს.

ჩვენ გთავაზობთ შესაბამის ანაზღაურებასა და კარიერული ზრდის შესაძლებლობას გლობალურ ბაზარზე ოპერირებად კომპანიაში.
თუ თვლით, რომ ვებ-დიაზაინი ხელოვნებაა, თქვენი ადგილი სწორედ ჩვენთანაა.

მოვალეობები:

ვიზუალური დიზაინის ყველა საფეხურზე მუშაობა, კონტეპტის შემუშავებიდან მის სრულ დასრულებამდე, ინჟინერისნგის ჩათვლით;
ორიგინალური იდეების კონცეპტუალიზაცია, რომლის საფუძველზეც შეიქმნება მარტივი, მეგობრული (ე.წ. ‚user friendly'') დიზაინი, შესაბამისი ჩარჩოთი და ბარიერებით;
ისეთი ინსტრუმენტების შექმნა, როგორიცაა ‚wireframes'', ‚storyboards'', ‚user flows'', ‚process flows'' და საიტის რუკა, რომელიც უზრუნველყოფს ინტერფეისის დიზაინის ინტერაქტიული კომუნიკაციის ეფექტურობას;
დიზაინის შემუშავების თითოეული საფეხურისა და მნიშვნელოვანი საკითხების წარდგენა პარტნიორებისა და აღმასრულებელი მენეჯერებისა და სტეიკჰოლდერებისათვის;
დიზაინის ეფექტური გაიდლაინების, თანამედროვე, საუკეთესო პრაქტიკისა და სტანდარტების შემუშავებისა და დანერგვის ხელშეწყობა.

მოთხოვნები:

გამოცდილება ვებ-დიზაინში (დადასტურებული);
ბრწყინვალე უნარები გრაფიკულ დიზაინში (აუცილებელია სრულყოფილი პორტფოლიოს წარმოდგენა);
ისეთი ინსტრუმენტებზე მუშაობის სოლიდური გამოცდილება, როგორიცაა: creating wireframes, storyboards, user flows, process flows და საიტის რუკები;
გრაფიკული პროგრამების ძალიან კარგი ცოდნა (Photoshop, Illustrator ან/და სხვა.);
HTML, CSS-სა და JavaScript-ის კარგი ცოდნა (პროტოტიპების შესაქმელად);
ვიზუალური დიზაინის შექმნისათვის საჭირო ბრწყინვალე უნარები და სამომხმარებლო სისტემის ინტერაქტიულობის სტანდარტების ცოდნა;
წამოჭრილი პრობლემების ეფექტურად და კრეატიულად მოგვარებისათვის საჭირო უნარები;
ვებ-სამყაროში არსებული უკანასკნელი ტრენდების, ტექნიკებისა და ტექნოლოგიების ცოდნა;
ინგლისური ენის ძალიან კარგად ცოდნა;
ბაკალავრის ან/და მაგისტრის ხარისხი კომპიუტერული კომუნიკაციების, ინტერაქტიული დიზაინის ან სახვითი ხელოვნების დარგში;
სამუშაო გამოცდილება Agile/Scrum დეველოპინგში.

კონტაქტი